არჩილ ბაქრაძე

ფილოსოფიის ინსტიტუტი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ღმერთკაცობრიობის პრობლემა ყოვლისერთიანობის ფილოსოფიაში

(ვლადიმერ სოლოვიოვი)

ნაწილი I. ვლ. სოლოვიოვის ცხოვრების ბზა, მისი პიროვნული პორტრეტი

„მასში იყო რაღაც ჰაეროვნება, მოწყვეტილობა ყოველგვარი ყოფისაგან. მიწიდან არ ამოზრდილა იგი. არაფერთან არ იყო ის ორგანულად დაკავშირებული, არ ჰქონდა მიწაში გადგმული ფესვები, არაამქვეყნიური, სხვა სამყაროებიდან მოსული, თითქმის ყველასათვის უცხო, არავისთან და არაფერთან არ იყო ის სისხლით ახლობელი“.

Н. Бердяев. Проблема Востока и запада в религиозном сознании Вл. Соловьева. В сборнике: “О Вл. Соловьеве“. М., 1911.

ვლადიმერ სერგის ძე სოლოვიოვი - ფილოსოფოსი-მისტიკოსი, თეოლოგი, რელიგიის ისტორიკოსი, ლიტერატურის კრიტიკოსი, მთარგმნელი, პუბლიცისტი და პოეტი, შეიძლება ითქვას, რომ არამარტო ქრისტიანული ჰუმანიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია, არამედ რუსეთის ფილოსოფიური აზრის ისტორიაში ყველაზე დიდი ფიგურაა თავისი აზრთა წყობის უნივერსალობითა და გაქანებით.

ვლ. სოლოვიოვი დაიბადა 1853 წლის 16 იანვარს ქ. მოსკოვში, ცნობილი რუსი ისტორიკოსის ს.მ. სოლოვიოვის ოჯახში. აქ გამეფებულმა დახვეწილმა სულიერებამ და კულტურის არაჩვეულებრივად მაღალმა დონემ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ვლ. სოლოვიოვის დაინტერესება ფილოსოფიისა და რელიგიის საკვანძო პრობლემებით, ხელი შეუწყო მომავალი ფილოსოფოსის ფართო განსწავლულობას, უცხო ენების ღრმა და საფუძვლიან ცოდნას, მისი ხასიათის ისეთი თვისებების ჩამოყალიბებას, როგორიცაა კაცთმოყვარეობა, გულუხვობა, შემწყნარებლობა, იუმორის დახვეწილი გრძნობა და სხვა. საშუალო განათლება ვლ. სოლოვიოვმა მოსკოვის მეხუთე გიმნაზიაში მიიღო. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ იგი შედის მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, მოგვიანებით სწავლა განაგრძო ამავე უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. პარალელურად ვლ. სოლოვიოვი ირიცხებოდა სასულიერო აკადემიის თავისუფალ მსმენელად. უნივერსიტეტში გატარებული წლები მეტად ნაყოფიერი აღმოჩნდა ვლ. სოლოვიოვისათვის. აქ მან საფუძვლიანად აითვისა ფილოსოფიისა და რელიგიის ისტორია, ღრმად შეისწავლა აღმოსავლური და დასავლური მისტიკის თავისებურებანი, მისი თანადროული საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერების მონაპოვარი. აქვე ჩაეყარა საფუძველი ვლ. სოლოვიოვის რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. ვლ. სოლოვიოვის როგორც თეოლოგისა და ფილოსოფოსის ფორმირებაში დიდია მისი მასწავლებლების, ცნობილი პედაგოგების ა.მ. ივანცოვ-პლატონოვისა და პ.დ. იურკევიჩის როლი. უნივერსიტეტში სწავლის წლებს უკავშირდება, აგრეთვე, ვლ. სოლოვიოვის განსაკუთრებული გატაცება ისეთი ბუმბერაზი მოაზროვნეებით, როგორიც იყვნენ პლატონი, ორიგენე, დიონისე არეოპაგელი, ლაიბნიცი, სპინოზა, კანტი, შელინგი, ჰეგელი, შოპენჰაუერი.

უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ვლ. სოლოვიოვი იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას, რომელიც მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. 1881 წლის 28 მარტს ვლ. სოლოვიოვმა წაიკითხა საჯარო ლექცია, რომელშიც მან ქრისტიანული ლმობიერების მოტივით სიკვდილით დასჯის გაუქმება და ალექსანდრე II-ის მკვლელობის გამო დაპატიმრებულ ტერორისტთა შეწყალება მოითხოვა. ამ გამოსვლამ სამუდამოდ შელახა ვლ. სოლოვიოვის პოლიტიკური რეპუტაცია ოფიციალური რუსეთის თვალში. იგი აიძულეს შეეწყვიტა პედაგოგიური მოღვაწეობა.

იწურებოდა XIX საუკუნე. კარს იყო მომდგარი ახალი, კაცობრიობის ისტორიაში არნახული, სისხლიანი კატასტროფების ეპოქა - მსოფლიო ომებისა და რევოლუციების მაღალ იდეალებს ამოფარებული ურწმუნოების, ადამიანის ღირსების ფეხქვეშ გათელვის, კულტურულ ღირებულებათა დაკნინების, სექსუალური აღვირახსნილობის, ზოოლოგიური შოვინიზმის და უტილიტარული ტექნიკური ცივილიზაციის მიერ ადამიანის დამონების ახალი ფორმების დამკვიდრების ხანა. ყოველივე ამას მწვავედ განიცდიდა ვლ. სოლოვიოვი. სიკვდილის აჩრდილი თავს დასტრიალებდა მას, ამიტომ ჩქარობდა ადამიანებისათვის ეუწყებინა ანტიქრისტეს აღზევების სიმპტომები, მისი უცილობელი დაცემა და ღვთაებრივი ნათლის გაცისკროვნება ისტორიის გოლგოთაზე ჯვარცმულ ადა-

მიანთა სულებში. მან ეს განზრახვა ნაწილობრივ კიდეც აღასრულა. მისი შემოქმედების დასკვნითი პერიოდი სწორედ ამგვარი ესქატოლოგიურ-კატასტროფული ხილვებით არის აღსავსე. ვლ. სოლოვიოვი გარდაიცვალა 1900 წლის 31 ივლისს, 47 წლის ასაკში, მოსკოვის მახლობლად სოფელ უზკოეში, უახლოესი მეგობრებისა და თანამოაზრეების, ცნობილი ფილოსოფოსების - ძმების სერგეი და ევგენი ტრუბეცკოების საგვარეულო მამულში. სიკვდილის წინ ის ითხოვდა არ მიეცათ მისთვის დაძინების საშუალება, რათა ელოცა ებრაელი ხალხისათვის, რომლის ისტორიასაც ის მსოფლიო ისტორიის ღერძად მიიჩნევდა. სიკვდილის სარეცელს მიჯაჭვულ ფილოსოფოსს მიაჩნდა, რომ იგი, ეროვნებით რუსი, როგორც რუსეთში გაბატონებული ანტისემიტური ფსიქოზის წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლი, ვალდებული იყო ელოცა ებრაელი ხალხის გადარჩენისათვის. მას სულ რამდენიმე ადამიანი მიაცილებდა უკანასკნელ გზაზე. ვლ. სოლოვიოვი დაკრძალეს მოსკოვში, ნოვოდევიჩის სასაფლაოზე, თავისი სახელოვანი მამის გვერდით.

ვლ. სოლოვიოვი იყო უაღრესად რთული, იდუმალებით მოცული პიროვნება: ურყევი რელიგიური რწმენა და თავისუფალი აზროვნება, ხალასი იუმორი, ირონიაც კი სიკვდილ-სიცოცხლის ურთულეს რელიგიურ პრობლემებზე მსჯელობისას, ასკეტური წესით მცხოვრები და ამავე დროს, ღვინის, განსაკუთრებით, შამპანურის მოტრფიალე, სუსტი სქესის მიმართ უაღრესად მოკრძალებული, დაუოჯახებელი მარტოსული და, ამასთანავე, მრავალმხრივი რომანტიკული გატაცებებით აღსავსე, კათოლიციზმისა და პროტესტანტიზმის ქომაგი, თავად აღმსარებლობით მართლმადიდებელი, ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი და ა.შ. ერთი შეხედვით, შეუთავსებელი ეს ნიშან-თვისებანი და მისწრაფებები ჰარმონიულად ერთიანდებოდა ამ უნივერსალურ პიროვნებაში. მაგრამ, ალბათ, მისი პიროვნების ყველაზე ხელშესახებ თავისებურებას ამა სოფლის უპიროვნო, ობივატელური რეალობისადმი უკომპრომისო დამოკიდებულება გამოხატავდა, სინამდვილის მიმართ იდეალის ძალმოსილებით და ჩვენს ცოდვილ მიწაზე სამართლიანობის და სიკეთის უცილობელი დამკვიდრების ურყევი რწმენით რომ იყო გამაგრებული. მისი პიროვნების ეს ძირეული თვისება ვლ. სოლოვიოვს საშუალებას არ აძლევდა დაკმაყოფილებულიყო პირობითი და წარმავალი ყოფიერებით. ჩვენს მიერ ეპიგრაფად გამოყენებული ვლ. სოლოვიოვის ნ. ბერდიაევისეული დახასიათება სწორედ მისი ამ ძირეული თვისების ხატოვან ილუსტრაციას წარმოადგენს: "მასში იყო რაღაც ჰაეროვნება, მოწყვეტილობა ყოველგვარი ყოფისაგან, მიწიდან არ ამოზრდილა იგი, არაფერთან არ იყო ორგანულად დაკავშირებული. არ ჰქონდა მიწაში გადგმული ფესვები. არაამქვეყნიური, სხვა სამყაროებიდან მოსული, თითქმის ყველასათვის უცხო, არავისთან და არაფერთან არ იყო სისხლით ახლობელი". ხომ არ ეწინააღმდეგება ვლ. სოლოვიოვის პიროვნების უნივერსალიზმი ნ. ბერდიაევის მიერ მის დახასიათებას, როგორც მარტოსულისა? ხომ არ არის მარტოობის ფენომენი ეგოიზმისა და ინდივიდუალიზმის მაჩვენებელი? წმირ შემთხვევაში ეს მართლაც ასეა. ეგოისტი გაუცხოებულია სამყაროსაგან, მას დაწშული აქვს მეორე ადამიანთან მისასვლელი გზა და ამდენად ის მარტოსულია. მაგრამ მარტოობაც არის და მარტოობაც. მარტოობა შეიძლება იყოს როგორც ინდივიდუალისტურ-ეგოისტური, ასევე უნივერსალური. უნივერსალური პიროვნების მარტოობა იმის მაჩვენებელია, რომ ადამიანმა მნიშვნელოვნად გაუსწრო მის გარემომცველ პიროვნულ და საზოგადოებრივ გარემოს, რომ მისი უნივერსალური შემოქმედებითი მონაპოვარი არ არის გაგებული და აღიარებული სხვების მიერ. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ნ. ბერდიაევი, უმაღლესი მარტოობა ღვთაებრივია, თვით ღმერთმა იცის დიდი და სატანჯველი მარტოობა, ოდეს სამყარო და ადამიანები ზურგს აქცევენ მას. ასე რომ, არაფერია გაუგებარი იმაში, რომ ვლ. სოლოვიოვი, ეგზომ უნივერსალური მიზანსწრაფვის მოაზროვნე, მარტოსულად გრძნობდა თავს პარტიკულარული ინტერესებით შეპყრობილ საზოგადოებაში. ვლ. სოლოვიოვისათვის სრულიად მიუღებელი იყო ადამიანის სოციალურ-პოლიტიკური და ნაციონალური ჩაგვრის, პიროვნების სინდისის თავისუფლების ხელყოფის გამართლება და მისი თანადროული რუსეთის სხვა სოციალური მანკიერებანი. ამ მხრივ, სამაგალითოა ვლ. სოლოვიოვის დაუნდობელი კრიტიკა, მიმართული რუსეთის ისეთი უკიდურესად რეაქციული, შოვინისტური, ანტისემიტური და სინდისის თავისუფლების უარმყოფელი მოაზროვნეების წინააღმდეგ, როგორებიც იყვნენ კ. პობედონოსცევი, მ. კატკოვი, ვ. როზანოვი და სხვ. საგულისხმოა ფ. დოსტოევსკისა და ვლ. სოლოვიოვის ურთიერთობაც. 1878 წლის ზაფხულში ვლ. სოლოვიოვმა და ფ. დოსტოევსკიმ ერთად იმოგზაურეს ოპტინის სავანეში, სადაც ხანგრძლივი საუბრები ჰქონდათ მონასტრის წინამძღვართან - მამა ამბროსისთან. აქ ფ. დოსტოევსკიმ გააცნო ვლ. სოლოვიოვს თავისი შემოქმედებითი ჩანაფიქრი, რომელიც მან ასე ბრწყინვალედ განახორციელა თავის გენიალურ რომანში „ძმები კარამაზოვები". უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მოაზროვნეს ერთნაირად ესმოდა ქრისტიანული ეკლესიის მოწოდება, მისი საზოგადოებრივი ფუნქცია და როლი სახელმწიფოს ჰუმანიზაციის პროცესში. აღსანიშნავია, აგრეთვე ისიც, რომ ბუნებისადმი ფაქიზი, მზრუნველობითი დამოკიდებულების იდეა, რაც შემდგომ ეკოლოგიური მოძრაობის მსოფლმხედველობას დაედო საფუძვლად, ერთნაირი სიძლიერით არის განსახიერებული როგორც ფ. დოსტოევსკის მხატვრულ ქმნილებებში, ასევე ვლ. სოლოვიოვის პოეზიასა და ფილოსოფიურ შემოქმედებაში. მსგავსად ფ. დოსტოევსკისა, ვლ. სოლოვიოვსაც ეჭვი არ ეპარებოდა რუსეთის ისტორიული მისიის მასშტაბურობაში, ამავე დროს, ვლ. სოლოვიოვი მკვეთრად უპირისპირდებოდა ფ. დოსტოევსკის შოვინიზმსა და ანტისემიტიზმს; იგი დაუფარავად გამოთქვამდა პროტესტს ფ. დოსტოევსკის შოვინისტური დამოკიდებულებისადმი ებრაელების, პოლონელების, ფრანგების, გერმანელების, საზოგადოდ ევროპული კულტურისა და განსხვავებულ აღმსარებლობათა მიმართ. შეუძლებელია არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ვლ. სოლოვიოვი დიდი სიმპათიით იყო გამსჭვალული საქართველოსადმი, მისი უძველესი და თვითმყობადი კულტურისადმი. რო-

გორც ცნობილი პუბლიცისტი ვ. ველიჩკო მოგვითხრობს, მის ბინაში გამართულ ერთ-ერთ წვეულებაზე ვლ. სოლოვიოვმა გაიცნო ახალგაზრდა ქართველი კომპოზიტორი მ. ბალანჩივაძე, რომელსაც ჩამოეტანა ქართული ხალხური მუსიკის ნიმუშები. ვლ. სოლოვიოვი აღუფრთოვანებია სვანურ სიმღერებს, განსაკუთრებით კი მზის საგალობელს - „ლილეოს“. მან მ. ბალანჩივაძეს რამდენჯერმე გაამეორებინა ეს სიმღერა, ჩაიწერა სვანური სიტყვები და შემდგომ - იგონებს ვ. ველიჩკო, როდესაც საქართველოზე ჩამოვარდებოდა სიტყვა ვლ. სოლოვიოვი ფეხზე წამოდგებოდა და უდიდესი სიამოვნებით დააგუგუნებდა ხოლმე „ლილეოს“.

როგორც აღინიშნა, ვლ. სოლოვიოვი იყო არა მხოლოდ დიდი ფილოსოფოსი, არამედ ორიგინალური ხელწერის პოეტიც. მიუხედავად იმისა, რომ ვლ. სოლოვიოვი აკრიტიკებდა რუს სიმბოლისტებს და თავის პოეზიას სიმბოლისტურად არ თვლიდა, ეს უკანასკნელნი (ა. ბლოკი, ა. ბელი) სრულიად სამართლიანად მიიჩნევდნენ მას რუსული სიმბოლიზმის ერთ-ერთ დამფუძნებლად. ვლ. სოლოვიოვის პოეზია მისტიკური ხილვებით იკვებება და მის პოეზიაში ასახული მისტიკური განწყობა სრულიად თავისებურია. ეს არის ღვთაებრივი სიბრძნის, წმ. სოფიას ანუ, როგორც დიდი გოეთე იტყოდა, „მარად ქალურის“ ნათელხილვის მისტიკა, რომელიც კოსმიური ყოფიერების განცდის სიხარულს უკავშირდება. სწორედ ამ ფაქტმა უბიძგა ცნობილ მეცნიერს დ. ოვსიანიკო-კულიკოვსკის ვლ. სოლოვიოვის პოეტური შემოქმედების მკვლევარი მისტიკური ხილვები ფრანცისკ ასიზელის მისტიკისათვის შეედარებინა: ამგვარი მისტიკის სამყაროში, წერდა რუსი მკვლევარი, ჭეშმარიტად გულწრფელი მხიარულებაა, ზოგჯერ უზრუნველი სიცილიც გვესმის, იქ უბოროტო ხუმრობას და კეთილ იუმორსაც შევხვდებით. დიდი შეცდომა იქნებოდა, ფიქრობს დ. ოვსიანიკო-კულიკოვსკი, ამგვარი მისტიკოსები კუშტ, სულ მუდამ საიქიოზე ფიქრით დამძიმებულ, სიცოცხლით ტკბობას და მიწიერ სიხარულს მოკლებულ ადამიანებად მიგვიჩნია. წმ. ფრანცისკი, ისევე როგორც ვლ. სოლოვიოვი, თუმცა ასკეტები არიან, მაგრამ მათი ასკეტიზმი თავისებურად ზომიერია, სალოსობაში არ გადაიზრდება. მათი რწმენა ისევე ურყევია, როგორც მისტიკური აღტკინება, თუმცა მათთვის უცხოა ყოველგვარი ფანატიზმი _ ძალმოსილი იდეის მიერ პიროვნების დამონება. ისინი შინაგანად თავისუფალი, ფართო თვალსაწიერის, ჰუმანური, საკუთარი თავის მიმართ მომთხოვნი, სხვების მიმართ კი გულმოწყალე ადამიანები არიან[2].

ნაწილი II. ყოვლისერთიანობის მეტაფიზიკის საფუძვლები

ვლ. სოლოვიოვის სახელთან არის დაკავშირებული ყოვლისერთიანობის რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობის ჩასახვა რუსეთში. ამ ფილოსოფიური მიმდინარეობის პრინციპებს ავითარებდნენ ვლ. სოლოვიოვის თანამოაზრენი, ისეთი ცნობილი ფილოსოფოსები, როგორებიც იყვნენ: ს. ტრუბეცკოი, ევ. ტრუბეცკოი, ს. ფრანკი, ს. ბულგაკოვი, პ. ფლორენსკი, ლ. კარსავინი, ვ. ერნი, ბ. ვიშესლავცევი, ნ. ლოსევი და სხვები. ვლ. სოლოვიოვის დიდი გავლენა შეიმჩნევა ნ. ბერდიაევის, ი. ილინის, ნ. ლოსკის, ფ. სტეპუნის ნააზრევზეც.

ვლ. სოლოვიოვის ფილოსოფიურ ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა ფილოსოფიის ისტორიის იმ პერიოდს, როდესაც ჰეგელის გრანდიოზული ფილოსოფიური სისტემის კრახმა ევროპულ აზროვნებაში პესიმისტური განწყობა გაამეფა. ვლ. სოლოვიოვი ცდილობს ფილოსოფიურად დასძლიოს პესიმიზმი და ადამიანის შემოქმედებით მოღვაწეობას დასაყრდენი მოუნახოს გარკვეული კუთხით გადამუშავებულ ქრისტიანული რელიგიის პრინციპებში. ამ ამოცანის გადასაჭრელად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია, გაირკვეს თუ რას წარმოადგენს ფილოსოფია, რა როლს ასრულებს ის ადამიანის ცხოვრებაში. ფილოსოფიას, როგორც ადამიანის არა უბრალო ცნობისმოყვარეობის პროდუქტს, არამედ კაცობრიობისათვის, თითოეული ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეს, ვლ. სოლოვიოვი უაღრესად დიდ როლს ანიჭებდა. ფილოსოფიის ეს მაღალი მისია ვლ. სოლოვიოვისათვის არსობრივად უკავშირდებოდა თვით ადამიანის ყოფიერების წესს, მის მოწოდებას, მის ადგილს სამყაროში. ადამიანი, ვლ. სოლოვიოვის თანახმად, ის ერთადერთი არსებაა სამყაროში, რომელიც ვერ ეგუება ვერავითარ შეზღუდულობას, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ საზღვრებს. მას არ აკმაყოფილებს არაფერი სასრული და წარმავალი, მისი მიზანსწრაფვა მარადისობისაკენ არის წარმართული. ადამიანი ცდილობს განთავისუფლდეს ყოველგვარი მონობისაგან, დაძლიოს კერპთაყვანისმცემლობის ყოველგვარი გამოვლინება. სწორედ თავისუფლებისაკენ ადამიანის სწრაფვის გამოხატულებაა ფილოსოფია. ეს ორმხრივი პროცესი, ერთდროულად დამანგრეველი და შემოქმედებითი, ქმნის ფილოსოფიის არსს; ამასთან ერთად, აღნიშნავს ვლ. სოლოვიოვი, იგი წარმოადგენს საკუთრივ ადამიანის არსსაც, იმას, რითიც განისაზღვრება ადამიანის ღირსება და მისი უპირატესობა დანარჩენ არსებულთა მიმართ[2]. ასე რომ, კითხვაზე _ რას აკეთებს ფილოსოფია? _ ვლ. სოლოვიოვის პასუხი ასეთია: ის აქცევს ადამიანს ჭეშმარიტ ადამიანად, აამოქმედებს რა მის არსობრივ მახასიათებელს _ უარყოფით და დადებით თავისუფლებას. კაცობრიობის ისტორია ფილოფოსიის ამ განმათავისუფლებელი მისიის ნათელი დადასტურებაა: ძველ სამყაროში, სადაც ადამიანის პიროვნება დამონებული იყო უცხო ძალის მიერ, უპირატესად ბუნებრივი, მატერიალური საწყისით, ფილოსოფიამ გაათავისუფლა ცნობიერება გრძნობადი საგნებისა და მოვლენებისადმი განსაკუთრებული მორჩილებისაგან, აღმოაჩინა მისი ჭვრეტისათვის გონით-იდეალური საუფლო და ამ საუფლოში მოუნახა ადამიანს შინაგანი დასაყრდენი. ახალ ქრისტიანულ ეპოქაში, როდესაც თვითონ ეს გონითი საუფლო გარეგანი იძულებით თავს მოახვიეს ადამიანებს, ფილოსოფიამ უბიძგა ევროპულ კაცობრიობას ზურგი შეექცია მისთვის, განთავისუფლებულიყო მისი დამთრგუნველი ზემოქმედებისაგან და გამოემჟღავნებინა ადამიანის ჯერ რაციონალური და შემდეგ გრძნობად-სხეულებრივი გან-

ზომილებანი. დაუკმაყოფილებლობა პირობითი, წარმავალი ყოფიერებით მხოლოდ უპირობო, მარადიულ, აბსოლუტურ ყოფიერებასთან წილნაყარი არსების ხვედრია. და მართლაც, ადამიანის ადამიანურობა ფასდება იმით, თუ თავისი მოღვაწეობით რამდენად უწყობს ის ხელს ისეთი მიზნის განხორციელებას, რომელიც ღირებულია თავისთავად, ობიექტურად და ამიტომ ამჟღავნებს თავის ღირებულებას არა მხოლოდ პირადად მის მიმართ, არამედ საზოგადოდ, ყველას მიმართ. სწორედ ამაში გამოიხატება ისეთი უმაღლესი ღირებულებების უპირობო ხასიათი, როგორიც არის სიკეთე, ჭეშმარიტება და მშვენიერება. ისმის კითხვა: რაზეა დაფუძნებული სიკეთის, ჭეშმარიტების და მშვენიერების აბსოლუტურობა, რას წარმოადგენს აბსოლუტური, როგორც ასეთი, როგორც სიკეთის, ჭეშმარიტებისა და მშვენიერების ერთიანობის წყარო. აბსოლუტის ონტოლოგია ყოვლისერთიანობის ფილოსოფიის საფუძველთა საფუძველია. ვლ. სოლოვიოვის ფილოსოფიის სიღრმეებში ვერ შევაღწევთ, თუ აბსოლუტის პრობლემა დაგვრჩა გაურკვეველი. დავძაბოთ ჩვენი ყურადღება და მივყვეთ ვლ. სოლოვიოვის მსჯელობას.

თუ რა იგულისხმება აბსოლუტში, ამას, ვლ. სოლოვიოვის აზრით, თვითონ ამ ლათინური სიტყვის (absolutum) მნიშვნელობა გვაუწყებს. ამ სიტყვით გამოიხატება აბსოლუტის ორგვარი დახასიათება, რომელთაგან თითოეული გულისხმობს და ავსებს მეორეს. პირველი დახასიათება უარყოფითია. მასში ნაჩვენებია, რომ აბსოლუტი არც ერთ თავის პოზიტიურ ნიშანს არ შეიძლება გაუტოლდეს. დახასიათების ეს ასპექტი გვეუბნება, რომ აბსოლუტი არის არარა. ამ კონტექსტში არარას კატეგორია შესაძლებელია ორი მნიშვნელობით იქნას მოაზრებული: არარა შეიძლება გავიგოთ, როგორც ყოველგვარი კონკრეტული ყოფიერებისაგან აბსტრაჰირების შედეგი. ასე ესმოდა არარას კატეგორია ჰეგელს. ასეთ არარას ვლ. სოლოვიოვი "უარყოფით არარას" უწოდებდა. მაგრამ არარა შეიძლება იქნას გაგებული დადებითი მნიშვნელობითაც, როგორც ყოველგვარ ყოფიერებაზე ამაღლებული, და ამასთანავე, როგორც ყოფიერების მწარმოებელი და მომცველი. არარას ეს მნიშვნელობა ვლ. სოლოვიოვთან „დადებითი არარას" ტერმინით აღინიშნება. აბსოლუტის დახასიათების მეორე ასპექტი გამოხატავს იმ გარემოებას, რომ არაფერი არ შეიძლება აკლდეს აბსოლუტს, არაფერი არ შეიძლება მისგან დამოუკიდებლად იქნას მოაზრებული. მაშასადამე, ამ მიმართებით აბსოლუტი შეიძლება დახასიათდეს, როგორც ყველაფერი. აქ, ფილოსოფიის ენით გამოთქმულია მონოთეიზმის ძირეული რელიგიური გამოცდილება - ღმერთი უსასრულო, უსაზღვრო, გამოუთქმელი, მიუწვდომელი საიდუმლოებაა, და ამავე დროს, იგივე ღმერთი მრავალმხრივად გაცხადდება, ყველაფერს მისი ბეჭდი აზის, ისაა ყოველივეს შემოქმედი და გამაერთიანებელი. აბსოლუტის ზემოაღნიშნული დახასიათების დაკონკრეტების საფუძველზე თავისი რელიგიური ონტოლოგიის ფუძემდებლურ პრინციპს ვლ. სოლოვიოვი განსაზღვრავს, როგორც ყოვლისერთიანს, როგორც შემადგენელ ნაწილთა სრულ თავისუფლებას მთელის სრულყოფილ ერთიანობაში. ამ ფუძემდებლური პრინციპის მომარჯვებით ვლ. სოლოვიოვი ცდილობს ფილოსოფიური სინთეზის ამოცანა გადაჭრას.

ნაწილი III. ღმერთკაცობრიობა და საკაცობრიო ისტორიის საზრისი

მთელი კოსმიური და ისტორიული ყოფიერების საზრისი ვლ. სოლოვიოვის ფილოსოფიაში უკავშირდება თეოზისის პრობლემას, ადამიანისა და სამყაროს განღმრთობას, ყოვლისერთიანობის საბოლოო დამკვიდრებას ყოფიერებაში. ეს რთული და წინააღმდეგობრივი პროცესია. ის მოიცავს კოსმოგონიურ და ისტორიულ ეტაპებს. ყოვლისერთიანობის სამყაროში დამკვიდრების კოსმოგონიური ეტაპი ხასიათდება კოსმიური ყოფიერების თვითაქტივობის ინტენსივობის ზრდით, ბუნებაში ახალი, ერთიანობის სულ უფრო სრულყოფილი ფორმების განხორციელებით. ეს ზეაღმავალი პროცესი იწყება კოსმოსის მექანიკური ერთიანობით, გაივლის დინამიკური და ორგანული ერთიანობის საფეხურებს და სრულდება სამყაროში ადამიანის დამკვიდრებით. ადამიანის წარმოშობასთან ერთად ყოფიერების შემდგომი გამრავალფეროვნება და ინტეგრაცია რელიგიური გამოცხადების სრულყოფის პროცესს უკავშირდება. კოსმიური ამოცანა ისტორიულ ამოცანად იქცევა: იწყება ბუნებისა და მისი განვითარების დამაგვირგვინებელი არსების - ისტორიული ადამიანის ამაღლების პროცესი. სამყაროს მოწესრიგება, ყოვლისერთიანობის განხორციელება სამყაროში გარეგანიდან შინაგან, ცნობიერ და თვითცნობიერ განზომილებაში გადადის. წარმოებს ადამიანისა და ღმერთის შინაგანი ერთიანობის აღდგენა და ამის საფუძველზე ბუნების განსულიერება-პერსონალიზაცია. ესაა ღმერთკაცობრიობის (გონითი კაცობრიობის) დამკვიდრება სამყაროში. ეს პროცესი, როგორც აღვნიშნეთ, ვლ. სოლოვიოვის ფილოსოფიაში კაცობრიობის რელიგიურ განვითარებას უკავშირდება.

უხსოვარი დროიდან ადამიანი ღმერთს ეძიებდა. წარმოდგენა უმაღლეს, აბსოლუტურ ყოფიერებაზე წარუშლელ დაღს ასვამდა ადამიანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა სფეროს. ადამიანი მუდამ ცდილობდა თავის ღმერთებს დამსგავსებოდა, საკუთარი ყოფიერების ის წახნაგები განევითარებინა, რომელთაც ის ღვთაების გაცხადებად მიიჩნევდა. თავის მხრივ, უმაღლესი, აბსოლუტური ყოფიერების გაგების სპეციფიკა ყოველთვის განსაზღვრავდა ამა თუ იმ ისტორიული ტიპის საზოგადოებაში დამკვიდრებულ ღირებულებათა შკალას, კულტურის მაკონსტრუირებელ ძირეულ ტენდენციებს, რადგან ადამიანის რელიგიური ცნობიერება არასოდეს წარმოადგენდა რაღაც ერთხელ და სამუდამოდ ფიქსირებულ სიდიდეს, არამედ საკაცობრიო ისტორიის გასწვრივ თანდათან ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა, ამიტომ გაღრმავებასა და გაფართოებას განიცდიდა რელიგიური გამოცხა-

დების შინაარსიც, თანაც იმგვარად, რომ გამოცხადების უფრო მაღალ ფორმებში უკვალოდ არ იკარგებოდა გამოცხადების უფრო დაბალი ფორმების თავისებურებანი. ამ მოსაზრების ილუსტრაციისათვის ვლ. სოლოვიოვი ასეთ ანალოგიას მიმართავს: ისევე, როგორც მზის მოცემულობის შინაარსი უსინათლოსათვის, არ უარიყოფა თვალხილული ადამიანის გამოცდილებით, არამედ უფრო ღრმავდება და ფართოვდება (სითბო პლუს სინათლე), ხდება უფრო მრავლისმომცველი გამოცდილების ნაწილი და ამ კონტექსტში ახალ მნიშვნელობას იძენს, ასევე, რელიგიურ განვითარებაშიც გამოცხადების ქვემდგომი საფეხურები კარგავენ დამოუკიდებელი მთელის მნიშვნელობას და უფრო სრულყოფილი გამოცხადების მომენტებს ქმნიან. კაცობრიობის რელიგიური ცნობიერების განვითარების ამგვარი ინტერპრეტაცია ვლ. სოლოვიოვს საფუძველს აძლევდა, ლ. ტოლსტოის საწინააღმდეგოდ ემტკიცებინა, რომ რელიგიური განვითარების მიზანს წარმოადგენს არა ის მინიმალური შინაარსი, რაც ერთია ყველა რელიგიისათვის, არამედ მაქსიმალური რელიგიური მრავალფეროვნების ის ერთიანობა, რომელიც მოიცავს ყველა რელიგიის დადებით შინაარს და სწორედ ამის გამო არ დაიყვანება ამ მრავალფეროვნების არცერთ მომენტზე. აბსოლუტის გამოცხადების უმაღლეს საფეხურად ვლ. სოლოვიოვს ქრისტიანობა მიაჩნდა, თუმცა ამავე დროს, თვლიდა, რომ გამოცხადების ქრისტიანულ საფეხურზე ასასვლელად კაცობრიობას მოუხდა ქვემდგომი საფეხურების ავლაც. ქრისტიანული სულიერება, ვლ. სოლოვიოვის აზრით, რელიგიური თვალსაზრისით ყველაზე უფრო სრულქმნილი ფენომენია. იგი სრულად პასუხობს ადამიანის უღრმეს რელიგიურ მისწრაფებებს, რადგან სწორედ ქრისტიანობამ ორგანულად გააერთიანა თავის წიაღში ყოველივე ის ღირებული, რაც კი კაცობრიობამ აითვისა ღვთაებრივი პირველსაწყისის გამოცხადების მსოფლიო-ისტორიულ პროცესში. ქრისტიანობა არ უარყოფს ბუნების ღვთაებრივობას, რაც პოლითეისტური, ბუნების რელიგიების ძირეულ თავისებურებას გამოხატავს და ე.წ. ბუნებრივი გამოცხადების შინაარსს მოიცავს. ოღონდ ქრისტიანული ცნობიერებისათვის ბუნება ღვთაებრივია არა თავისთავად, არამედ იმდენად, რამდენადაც ღვთის ქმნილებაა და ღვთაებრივი ძალების მოქმედების ასპარეზია. ღმერთის განსხეულება ქრისტეში, ქრისტეს სხეულებრივი აღდგომა და ამაღლება ადასტურებს ბუნების პოზიტიურ შეფასებას ქრისტიანობის მიერ. ბრაჰმანიზმი და ინდუიზმი ღვთაების როგორც უმაღლესი ერთის და ყოველივე არსებულის სუბსტანციის მრავალმხრივ და მრავალსახოვან გამოცხადებაზე ლაპარაკობენ. ესეც შეიძლება იქნას აღმოჩენილი ქრისტიანობაში. ქრისტიანობისთვისაც ღმერთი წარმოადგენს როგორც საკუთარი თავის, ასევე ყოველივე არსებულის მიზეზს, ყველაფერი მასში ნახულობს თავისი ყოფიერების უკანასკნელ საფუძველს, ანუ სუბსტანციას[3]. ოღონდ, ქრისტიანობისათვის ღვთაების მრავალმხრივი გაცხადება არა უპიროვნო და ბრმა აუცილებლობას დაქვემდებარებული მოვლენაა, არამედ ის პიროვნული, საზრისიანი, თავისუფლებაზე დაფუძნებული სიყვარულის კოსმიურ-ისტორიული მანიფესტაციის მიზანმიმართულ პროცესს უკავშირდება. ღვთაებრივი სანქციით გამართლებული ცხოვრების რეგლამენტაცია, წინაპართა და ტრადიციული ადათ-წესების კულტი, ჩინური მსოფლშეგრძნების ეს საფუძველთა-საფუძველიც შეიძლება აღმოვაჩინოთ ქრისტიანობაში. მაგრამ აქ ყოველივე ამას წართმეული აქვს რაღაც თავისთავად ღირებულის შარავანდედი და მხოლოდ აღმზრდელობით-პედაგოგიური მნიშვნელობა ენიჭება. ადამიანის ბოროტებისაგან ხსნის პათოსი, ასე ღრმად რომ წარმოაჩინა ბუდიზმმა, ორგანულად შეითვისა ქრისტიანობამაც, თუმცა, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა ვლ. სოლოვიოვი, ადამიანის ხსნის საშუალებისა და საბოლოო მიზნის ქრისტიანული გაგება ბუდისტურისაგან არსებითად განსხვავდება: ქრისტიანობისათვის უცხოა სიცოცხლის ნეგატიური შეფასება, სიცოცხლისა, რომელიც ბუდიზმისათვის ტანჯვა-ვაებით მოცულ ილუზიას წარმოადგენს. ამიტომ ქრისტიანობისათვის ადამიანის ხსნა უკავშირდება არა სიცოცხლისაგან განრიდებასა და ნირვანაში უნაშთო გათქვეფას, არამედ სიცოცხლის გადარჩენას, მის განწმენდა-განსულიერებას, სიცოცხლის გამოხსნას ცოდვითდაცემის შედეგად მასში ჩაბუდებული ბოროტებისაგან. ბუდიზმი, ვლ. სოლოვიოვის თანახმად, ვერ გასცილდა უარყოფითი გამოცხადების საფეხურს. რელიგიური ცნობიერების განვითარების შემდგომი ეტაპი წარმოდგენილია დადებითი გამოცხადებით. დადებითი გამოცხადების საფეხურს მიეკუთვნება პლატონური მსოფლჭვრეტა, რომლის ძირეული ინტენცია - მგზნებარე ლტოლვა ზებუნებრივი, ზეგრძნობადი, იდეალური საუფლოსკენ ქრისტიანული ცნობიერების შემადგენლობაშიც შევიდა. მაგრამ თუ პლატონიზმი ვლ. სოლოვიოვს მიაჩნდა უპირატესად ჭვრეტის მსოფლშეგრძნებად, ქრისტიანობაში, მისი აზრით, ჭვრეტას დაქვემდებარებული როლი ენიჭება. ქრისტიანობა მოქმედების რელიგიაა, რომელიც ადამიანისა და პიროვნული ღმერთის დიალოგზე არის დაფუძნებული. თუ ღვთაების ობიექტური ასპექტი - იდეალური კოსმოსი, მნიშვნელობათა და საზრისთა მარადიული საუფლო წმინდა სახით გაცხადდა პლატონიზმში, ღმერთის სუბიექტური ასპექტი, განხილული როგორც ყოვლისშემძლე, ყოვლისმპყრობელი ნება, ძველი აღთქმის გამოცხადების შინაარს შეადგენს. ამგვარად გაცხადებული ღმერთის უპირობო ერთგულება ადამიანის მხრიდან ქმნის იუდაიზმისა და ისლამის ძირეულ თავისებურებას. ასეთ ერთგულებას ქრისტიანობაშიც აღმოვაჩენთ. მაგრამ იუდაიზმი, ძველი აღთქმის რელიგია, მხოლოდ ამით არ ამოიწურება. ძველი აღთქმის წინასწარმეტყველთა ცნობიერებაში ნათლად გაცხადდა, რომ კანონის ფორმაში გამოხატული გარეგანი მიმართება ადამიანსა და ყოვლისშემძლე ღმერთს შორის არ ამოწურავს მათ ურთიერთობას. ღმერთის, როგორც აბსოლუტური ნების ნდომის საგანი, არ შეიძლება იყოს რაიმე განსაკუთრებული, მას, როგორც აბსოლუტს, შეიძლება უნდოდეს მხოლოდ ყველაფერი. ყოველგვარი ყოფიერებისადმი, ყველაფრისადმი დასტური, მისწრაფება იმისაკენ, რომ ყველაფერი ნაზიარები იყოს ყოფიერებას, წარმოადგენს ღვთაებრივ სიყვარულს. მაშასადამე, ღმერთი როგორც სიყვარული, ვლ. სოლოვიოვის თანახმად, უკვე ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებს გამოეცხადა. სწორედ ძველი აღთქმის გამოცხადების

ეს მაცოცხლებელი სიტყვა ყველაზე უფრო ძალუმად ჟღერს ქრისტიანობაში. ქრისტიანობის იდეური შინაარსის ჩამოყალიბებაში ვლ. სოლოვიოვი, აგრეთვე დიდ ადგილს უთმობდა ალექსანდრიულ ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას და ანტიკურ ნეოპლატონიზმს. ალექსანდრიულ მსოფლმხედველობაში, ვლ. სოლოვიოვის აზრით, განხორციელდა ღმერთის პლატონისტური და იუდაისტური გაგების ერთგვარი სინთეზი. მასში ინტუიციურად შეიგრძნობა, თეორიულად დგინდება მიმართება _ ღმერთს, როგორც განუყოფელ ერთიანობასა და იმ მრავალფეროვან შინაარსს შორის, რომელსაც ეს ერთიანობა აწარმოებს და აერთიანებს. ღვთაებრივი ყოფიერების სუბორდინაციული სტრუქტურის სამწევროვანი დახასიათება კი, რაც შემდგომ, კოორდინაციული ფორმით ქრისტიანული ცნობიერების შემადგენლობაში შევიდა და წმ. სამების ჰიპოსტასთა ურთიერთკავშირის აღსაწერად იქნა გამოყენებული, ვლ. სოლოვიოვის თანახმად, ნეოპლატონიზმის ძირითადი დამსახურებაა.

ამგვარად, როგორც გაირკვა, ქრისტიანობაში ვლ. სოლოვიოვმა სხვადასხვა რელიგიების ძირეული ნიშან-თვისებანი აღმოაჩინა. ხომ არ მიანიშნებს ეს ფაქტი იმას, რომ ქრისტიანობა, უბრალოდ სხვა რელიგიების ეკლექტური ნაზავია, რომ მან ახლით არ გაამდიდრა ღვთაებრივი გამოცხადების მსოფლიო ისტორიული პროცესი. ვლ. სოლოვიოვი უკუაგდებს ამგვარ მოსაზრებას. იგი დარწმუნებულია, რომ არც გამოცხადების ყველა ზემოჩამოთვლილი ეტაპი ერთად აღებული და არც თითოეული ცალ-ცალკე არ გამოხატავს ქრისტიანობის იმ სპეციფიკურ შინაარსს, რაც ასხვავებს და აამაღლებს მას ყველა სხვა რელიგიაზე. ეს შინაარსი უკავშირდება, თვით ქრისტეს, როგორც ადამიანის თვისებრივად ახალი სულიერების პირველწყაროს, ქრისტეს, რომელმაც საკუთარ თავს ჭეშმარიტება და ცხოვრების გზა უწოდა. როგორ წარმოუდგება ვლ. სოლოვიოვს ქრისტე, როგორც რელიგიური გამოცხადების კულმინაციური წერტილი? როდესაც სახარების კითხვისას ქრისტეს პიროვნებას ვეცნობით და მას სხვა დიდ პიროვნებებს ვადარებთ, ჩვენს ყურადღებას ერთი, მეტად საოცარი ფიქრი იპყრობს. საკაცობრიო კულტურის ისეთ ბუმბერაზთა შემოქმედებითი მონაპოვარი, როგორებიც იყვნენ ბუდა, მუჰამედი, სოკრატე, პლატონი, მიქელანჯელო და სხვები, როგორც წესი, უდიდეს სულიერ ძალისხმევასთან, მძიმე შრომასთან, ხანგრძლივ და მომქანცავ სულიერ და ფიზიკურ წვრთნასთან იყო დაკავშირებული. ჭეშმარიტების, სიკეთისა და მშვენიერების მწვერვალების დალაშქვრა ამ გენიალურ ბუმბერაზებს ხშირად საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ფასადაც კი უჯდებოდათ. ამ უმაღლესი ღირებულებების ათვისება მათი, ხშირ შემთხვევაში, დრამატული, წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრების ამოცანას შეადგენდა.

ქრისტეს პიროვნება დიამეტრალურად საწინააღმდეგო შთაბეჭდილებას ტოვებს. სახარებისეულ ქრისტეში სრულიად არ იგრძნობა ჭეშმარიტების მოპოვებასთან დაკავშირებული ქანცგამომლევი ძალისხმევა, არ ჩანს ძიების და მიღწეულით აღფრთოვანების პათოსი. ქრისტე იმთავითვე ფლობს ჭეშმარიტებას, იგი თვითონ განსხეულებული სიკეთეა. იგი მიილტვის არა ზევით, უმაღლესი ღირებულებების მოსაპოვებლად, რათა გახდეს უფრო სრულყოფილი, არამედ პირიქით, ქრისტეს სულიერი მოძრაობის ვექტორი საწინააღმდეგოა, ის ზევიდან ქვევით არის მიმართული, ის ჩამოდის ადამიანებთან გონითი, ყოფიერების მწვერვალებიდან, იგი იმთავითვე ფლობს სრულყოფილებას და სურს ჩვენი სამყაროს მკვიდრთ უწილადოს ყველაფერი, რაც კი გააჩნია. იესო ქრისტე უსასრულო ღმერთის ადამიანური სახეა. ის არის სამყაროსა და მისი მეტაფიზიკური ცენტრის _ ადამიანის მიმართ გაცხადებული ღვთაებრივი სიყვარულის დემონსტრაცია; სიყვარულისა, რომელიც თვითუარყოფას, თავგანწირვასა და მსხვერპლს მოითხოვს. ქრისტე, ვლ. სოლოვიოვის აზრით, ღმერთკაცია, ადამიანობის განხორციელებული იდეალია, იგი არის მომავალი ღმერთკაცობრიობის გზამკვლევი და ღვთაებრივი სასუფევლის დამკვიდრების უტყუარი გარანტი. ის არ ზღუდავს ადამიანის თავისუფლებასა და თვითმყოფადობას. სწორედ ამაზე მიანიშნებს ქრისტიანობის მსოფლიო-ისტორიული პროცესის წარმართვა სხვადასხვა მიმართულებით. აღმოსავლეთში და დასავლეთში მოქმედმა ათასწლოვანი სულიერი გამოცდილების განსხვავებულმა ნიმუშებმა, განსხვავებულმა კულტურულმა გარემომ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქრისტიანული ცნობიერების განსხვავებული ფორმების აღმოცენება. ვლ. სოლოვიოვი თვლიდა, რომ ადამიანი როგორც პიროვნება, იკარგება მაშინაც, როდესაც ღმერთი აუქმებს ადამიანს და მაშინაც, როდესაც ადამიანი აუქმებს ღმერთს. პირველმა ტენდენციამ, მისი აზრით, თავი იჩინა აღმოსავლეთში. ეს მოხდა ქრისტიანობის დამკვიდრებამდე გაცილებით ადრე. ამ ტენდენციამ თავისი გარკვეული დაღი აღმოსავლურ ქრისტიანობასაც დაასვა. აღმოსავლეთში, სულის მჭვრეტელობითი უნარის განსაკუთრებულად ინტენსიური განვითარების გამო, ადამიანში სუსტდება მოქმედების შესაძლებლობა, ზეგრძნობადის ჭვრეტით მონუსხული, იგი მთლიანად ივიწყებს თავის თავს, თავის ამქვეყნიურ საზოგადოებრივ-კულტურულ ინტერესებს და უნაშოდ იკარგება ყველაფრისადმი „გულგრილ“ აბსოლუტში. ამას შედეგად მოჰყვება ადამიანის საზოგადოებრივ-კულტურული აქტივობის მოდუნება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ერთფეროვნებისა და ინერტულობის გაბატონება. ვერ ხერხდება ქრისტიანული ღირებულებების დამკვიდრება საზოგადოებრივ სტრუქტურებში, ეკლესია სახელმწიფოს უბრალო დანამატად იქცევა. აღმოსავლეთში სხვადასხვა ინტენსივობით და სხვადასხვა ფორმით გაბატონებულია „უადამიანო ღმერთის“ თაყვანისცემა, რელიგიურ ცნობიერებაში საკმაოდ მძლავრობს მონოფიზიტური ტენდენციები. საპირისპიროდ ამისა, დასავლეთში ადამიანურმა დაჩრდილა ღვთაებრივი. დასავლეთის ცივილიზაციის საყოველთაო კრიზისის ძირითად მიზეზად, ვლ. სოლოვიოვს ევროპის ისტორიის სიღრმისეული ლოგიკის გამომხატველი ცენტრალური ფაქტი - ღმერთის თანდათანობითი უარყოფა და შესაბამისად, უღმრთო ადამიანის გაღმერთება მიაჩნია. ამ ტენდენციის დამკვიდრებას, მისი აზრით, ხელი შეუწყო როგორც კათოლიკური ეკლესიის მიზანსწრაფვამ, ასევე, ამ მიზანსწრაფვის წინააღმდეგ მიმართულმა პროტესტანტულმა ცნობიერებამ. სწორედ მათ წიაღში ჩაისახა ის ათეისტური განწყობა, რომელიც თანამედროვე ევროპელი ადამიანის სულში ღრმად არის გამჯდარი და

რომლის არსი ასე ხატოვნად გამოხატა ფრ. ნიცშემ „ღმერთის სიკვდილის“ ფორმულაში. მაინც კონკრეტულად რაში ადანაშაულებს ვლ. სოლოვიოვი კათოლიკურ ეკლესიას და პროტესტანტულ ცნობიერებას, რით შეუწყვეს მათ ხელი ევროპულ ცივილიზაციაში ათეისტური ტენდენციების მომძლავრებას? კათოლიკურ ეკლესიაში შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ვლ. სოლოვიოვის აზრით, გაიმარჯვა ძალაუფლების ცდუნებამ, მან უარყო ქრისტიანული ცნობიერებიდან მომდინარე ადამიანის სინდისის თავისუფლების პოსტულატი და თავის თავს უფლება მისცა კაცობრიობისათვის ქრისტიანობა ცეცხლითა და მახვილით თავს მოეხვია. კათოლიკურმა ეკლესიამ თავის თავზე იტვირთა სახელმწიფოს ფუნქციები და ამით საქვეყნოდ დაადასტურა, რომ ქრისტიანობა მისთვის წარმოადგენს მხოლოდ მიწიერი ძალაუფლების განმტკიცების საშუალებას. კათოლიკური ეკლესიის ამ მიზანსწრაფვამ მწვავე რელიგიური პროტესტი გამოიწვია ევროპული საზოგადოების ფართო წრეებში. მარტინ ლუთერის მიერ დაწყებული პროტესტანტული მოძრაობა შეეცადა რწმენის ჭეშმარიტების დადგენის საქმეში ეკლესიის გამაშუალებელი როლის უარყოფის საფუძველზე ადამიანის შინაგანი, პირდაპირი კავშირი აღედგინა ქრისტიანულ ჭეშმარიტებასთან. ამისათვის მან უშუალოდ ბიბლიას მიმართა და რელიგიური ჭეშმარიტების კრიტერიუმად ცალკეული ინდივიდის მიერ ბიბლიური გამოცხადების ინტერპრეტაცია მიიჩნია. რელიგიური ტრადიციებისა და კოლექტიურ-რელიგიური გამოცდილების უგულვებელყოფამ, ერთი მხრივ, დააქუცმაცა ქრისტიანული ცნობიერება, უამრავი რელიგიური სექტისა და მიმდინარეობის წარმოშობას შეუწყო ხელი, ხოლო, მეორე მხრივ, ბიბლიური ტექსტის ინდივიდუალური ინტერპრეტაციის წყალობით, ადამიანის გონება, რაციონალური აზროვნება წამოწია წინა პლანზე. ამ გზით, ვლ. სოლოვიოვის თანახმად, პროტესტანტიზმი ბუნებრივად გადაიზარდა რაციონალიზმში. რაციონალიზმის მცდელობა, მთელი სინამდვილე წმინდა გონების პრინციპებიდან აეგო, მარცხით დასრულდა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სფეროში. ეს პროცესი დაგვირგვინდა ევროპული ადამიანის თეორიულ ცნობიერებაში პოზიტივიზმის, ნატურალიზმისა და ათეიზმის, ხოლო პრაქტიკულ სფეროში შიშველი უტილიტარიზმის, დაუნდობელი კონკურენციისა, ფულისა და კომფორტის კულტის გაბატონებით. ევროპაში დამკვიდრდა „უღმრთო ადამიანის“ თაყვანისცემა. ადამიანის თვითმყოფადობის სწორედ ამგვარი გაგება იწვევს პიროვნების დაწვრილმანებას, ადამიანს ხელიდან ეცლება სულიერი განვითარების ორიენტირი, მან აღარ იცის, თუ ვისთვის ან რისთვის იცხოვროს. ორივე ეს გზა, ვლ. სოლოვიოვის თანახმად, კაცობრიობას მხოლოდ განვითარების შეფერხებით კი არა, არამედ დაღუპვითაც კი ემუქრება. კრიზისის დასაძლევად აუცილებელია კაცობრიობამ წინსვლის ახალი გზები გამონახოს. თანამედროვე ადამიანის მზერა უკან, ქრისტიანობის სათავეებისაკენ, უნდა წარიმართოს. სწორედ აქ უნდა იქნას აღმოჩენილი ქრისტიანობაში ჩადებული ის პოზიტიური შესაძლებლობები, რომლებიც მიიჩქმალა ჯერ ისტორიული ქრისტიანობის, ხოლო შემდეგ ახალი დროის სეკულარული კულტურის მიერ. უნდა აშენდეს ახალი ქრისტიანული კულტურა, რომლის წიაღშიც სათანადო ადგილი დაეთმობა ყოველივე ღირებულს, რაც კაცობრიობის როგორც რელიგიური, ასევე სეკულარული განვითარების შედეგად იქნა მოპოვებული. ამ ამოცანის განსახორციელებლად, თავის მხრივ, აუცილებელია ქრისტიანულ ეკლესიათა შინაგანი ერთიანობის აღდგენა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის შერიგება, ღმერთკაცობრიობის იდეაში მათი ცხოვრებისეული საწყისების სინთეზი. ახალი ქრისტიანული სულიერების მოწოდებაა ადამიანის შემოქმედებითი ენერგია ბუნებისა და საზოგადოების განთავისუფლებისა და გაერთიანების საკაცობრიო საქმის სამსახურში ჩააყენოს. ჭეშმარიტი ერთიანობა კი, როგორც ვლ. სოლოვიოვი აღნიშნავდა, უნდა ხორციელდებოდეს ინდივიდუალური ელემენტების უდიდეს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაში. მათში, მათით და მათთვის[4]. ასე რომ, ამ ყოვლისმომცველ საკაცობრიო ერთიანობაში მთელი ძალით წარმოჩნდება ყოველი ცალკეული პიროვნების, თითოეული ერის შინაგანი პოტენცია, რომლის ძალითაც ისინი ერთმანეთს კი არ გამორიცხავენ, არამედ ურთიერთადასტურებენ, ნახულობს რა ყოველი მათგანი სხვაში საკუთარი სიცოცხლის სისრულეს.

თავის ერთ-ერთ შესანიშნავ ნარკვევში, რომელიც ეძღვნება დიდი პოლონელი პოეტისა. მიცკევიჩის ხსოვნას, ვლ. სოლოვიოვი წერდა: „ის იყო ჭეშმარიტად დიდი ადამიანი. მას შეეძლო შეეხედა ცხოვრებისათვის სიმაღლიდან, რადგან ცხოვრება ამაღლებდა მას. უყურო ცხოვრებას სიმაღლიდან სრულიად არ ნიშნავს უყურო მას ქედმაღლურად. ის დიდი იყო იმით, რომ ადიოდა რა ზნეობრივი სიმაღლის ახალ საფეხურებზე, მას თან აჰქონდა იმავე სიმაღლეზე არა ამაყი და ცარიელი უარყოფა, არამედ სიყვარული იმისადმი, რაზეც ის მაღლდებოდა“[5]. ვლ. სოლოვიოვის ფილოსოფიური ცხოვრება, მთელი მისი ესოდენ მრავალმხრივი შემოქმედება სწორედ ამგვარ სიყვარულზე დაფუძნებული სინთეზის იდეით იყო გამსჭვალული. სხვა საკითხია, თუ რამდენად შეძლო მან ამ ურთულესი ამოცანის გადაჭრა, რამდენად მოახერხა ყოვლისერთიანობის მეტაფიზიკის საფუძველზე მოეცა ფილოსოფიური სინთეზი ისეთი განსხვავებული ფენომენებისა როგორიცაა წინარექრისტიანული რელიგიების მისტიკური შინაარსი, ნეოპლატონიზმი, ახალი დროის ფილოსოფია და მისი თანადროული ბუნებისმეცნიერება და ა.შ. დიდი გერმანელი ფილოსოფოსი ლაიბნიცი თვლიდა, რომ ესა თუ ის მოძღვრება ყველაზე უფრო სუსტია თავის იმ ნაწილში, სადაც იგი პირწმინდად უარყოფს სხვა მოძღვრებების ყოველგვარ ღირებულებას, ვერაფერს პოზიტიურს ვერ ხედავს მათში, ხოლო შემეცნება მით უფრო ნაყოფიერია, თუ ოპონენტის კრიტიკა არ შემოისაზღვრება მხოლოდ უარყოფითი გამოკვლევით, არამედ ეძიებს და ითვისებს მის თვალსაზრისში ყოველივე ღირებულს და სათანადო ადგილს მიუჩენს მას საკუთარ მსოფლმხედველობაში. სწორედ ამ პოსტულატის გათვალისწინებით ღმერთკაცობრიობის იდეაში ვლ. სოლოვიოვი შეეცადა სათანადო ადგილი მოენახა ყველა იმ ორიგინალური რელიგიურ-ფილოსოფიური კონცეფციისა თუ მოძრაობისათვის, რითიც ასე მდიდარია საკაცობრიო კულტურა.

შენიშვნები:

1. В.Л.Величко, Владимер Соловьев, СПБ, 1904, გვ. 194-195.
2. Д.Н. Овсянико-Куликовский. Что такое мистика? - Вестник Европы, 1916, №10, გვ. 157.
3. В.С. Соловьев. Собр. соч., т. II, СПб, Изд-во "Общество. Польза" 1901-1904; გვ. 386.
4. Вл. Соловьев. Собр. соч. в 10 томах. 2-е изд. т. 9. გვ. 23.
5. В.С. Соловьев. Собр. соч. т. VI., 1901-1904, გვ. 413.
6. В.С. Соловьев. Собр. соч. второе издание. т. IX. გვ. 257.

Archil Bakradze
Institute of Philosophy
Georgian Academy of Sciences

The problem of the humanity of God (Vladimir Soloviov)

Summary

Among the most religious thinkers Vladimir Soloviov is one of the most eminent, noted for his systematic thought and wide ranging interests. The author describes Soloviov's anthropological religious analysis of universal personality.